საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანონი

კანონი (სამართ.), სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივი მნიშვნელობის ურთიერთობებს და უზრუნველყოფს სახელმწიფო იძულების წესის გამოყენების შესაძლებლობას.

სივრცეში მოქმედების მიხედვით ჩვენს ქვეყანაში განასხვავებენ საქართვ. კანონებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს. საქართვ. კ. მოქმედებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, თუ თვით ამ კ-ით სხვა რამ არ არის დადგენილი; ავტონ. რესპ. კ. მოქმედებს ავტონ. რესპ. ტერიტორიაზე.

იურიდიული ძალის მიხედვით მიღებულია საქართვ. კ-თა შემდეგი იერარქია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი (ე.წ. ჩვეულებრივი კანონი).

კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართ. აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას. კონსტიტუციური კ. ორი სახისაა: კონსტიტუციური კ. კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ და კონსტიტუციური კ. საქართვ. სახელმწიფოებრივი ტერიტ. მოწყობის შესახებ. კონსტიტუციურ კ-ს იგივე იურიდ. ძალა გააჩნია, რაც კონსტიტუციას.

საქართველოს ორგანული კ-ით მოწესრიგებულია საკითხები სახელმწ. სიმბოლოების, არჩევნების, რეფერენდუმის, პარლამენტის წევრის სტატუსის, საკონსტიტუციო სასამართლოს, იმპიჩმენტის, მოქალაქეობის, ადგილ. თვითმმართველობის, საერთო სასამართლოებისა და სხვათა შესახებ. მათი მიღება და მიღების განსხვავებული წესი

პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართვ. კონსტიტუციით.

კ. (ჩვეულებრივი კ.) აგვარებს საზ. ურთიერთობათა ცალკეულ სფეროებს.

საქართველოს კ-თა მიღების (გამოცემის) უფლება მხოლოდ საქართვ. პარლამენტის პრეროგატივაა; ავტონ. რესპ-ში კ-ს იღებს შესაბამისი ავტონ. რესპ. უმაღლესი საბჭო. იგი უნდა მომზადდეს, გამოიცეს და გამოქვეყნდეს ქართ. ენაზე, ხოლო აფხაზეთის არ-ში – აგრეთვე აფხ. ენაზე. კ. შეიძლება გამოქვეყნდეს არასახელმწიფო ენაზეც, მაგრამ ასეთ ტექსტს არ ექნება ოფიც. იურიდ. ძალა. საქართვ. კონსტიტუციისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართვ. კ-ის თანახმად, კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონპროექტების ინიციატივის უფლება აქვთ საქართვ. პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობას და 200 000 ამომრჩეველს, ხოლო ე.წ. ჩვეულებრივი კანონპროექტების – საქართვ. მთავრობას, პარლამენტის წევრს, საპარლამენტო ფრაქციას, პარლამენტის კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის არ-ების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს, აგრეთვე არანაკლებ 30 000 ამომრჩეველს. საქართველოში მოქმედებს კ-თა უზენაესობისა და დაცვის უზრუნველმყოფი სპეციალიზებული ინ-ტები და პროცედურები – საკონსტიტუციო სასამართლო, რ-იც ადგენს კონსტიტუციასთან სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობას, და საერთო იურისდიქციის სასამართლოები, რ-ებიც ადგენენ სამართლებრივი აქტების კ-თან შესაბამისობას.

ა. დემეტრაშვილი